



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 345/ს
21/07/2023

345-21-4-202307210928



თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ ქვემო ქართლის, ახალი არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის (ნაგავსაყრელის) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ (ს.კ. 404942470) მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში 2022 წლის 26 დეკემბერს (წერილი N7766) წარმოდგენილია ქვემო ქართლის, ახალი არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის (ნაგავსაყრელის) მოწყობა-ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და კანონმდებლობით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია, რაზეც სააგენტომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის (ბრძანება N11/ს; 13/01/2023) შექმნა, წარმოდგენილი დოკუმენტაციის სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსება.

2020 წლის 30 ნოემბერს შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ მიერ, სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, წარმოდგენილ იქნა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ ქვემო ქართლის რეგიონული, არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის (ნაგავსაყრელის) მოწყობა-ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიში, რაზეც სკოპინგის პროცედურის შედეგად დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი და გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი საკითხები (სკოპინგის დასკვნა N6/ბრძანება N2-194; 10.02.2021).

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ მიერ 2023 წლის 24 იანვარს (N429) სააგენტოში წარმოდგენილ იქნა დამატებითი ინფორმაცია შპს „საქართველოს მელიორაციასთან“ კომუნიკაციის ამსახველი ინფორმაციის შესახებ.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე (წერილი N21/3216; 02.05.2023) შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ მიერ წარმოდგენილ იქნა პროექტთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია და

დოკუმენტაცია (N04/146; 24.05.2023). კერძოდ: საპროექტო ტერიტორიისთვის განკუთვნილი კერძო პირის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ 84.10.38.017) სახელმწიფო საკუთრებად დარეგისტრირების და აღნიშნული მიწის ნაკვეთის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებად ცვლილების ამსახველი დოკუმენტაცია; ნარჩენების განთავსების ობიექტის მშენებლობის დაწყების სავარაუდო თარიღი; დაზუსტებული საპროექტო ტერიტორიის და ძირითადი ობიექტების GPS კოორდინატები; ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის გეგმის განახლებული ვარიანტი; ნაგავსაყრელის მიმდებარე ტერიტორიის დანაგვიანების შემთხვევაში დასუფთავებისთვის შესაბამისი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია; დაზუსტებულ იქნა ობიექტის წყალმომარაგების საკითხი; ინფორმაცია ნაგავსაყრელის მოწყობის ეტაპზე „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის N348 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვის შესახებ; ნარჩენების განთავსების ობიექტისთვის გამოყოფილი ტერიტორიის ათვისების შემდგომ სამოვრებისთვის გამოყენების მიზნით ხელმისაწვდომი ტერიტორიების შესახებ ინფორმაცია. კერძოდ, დოკუმენტაციას თან ერთვის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის წერილი არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის მოსაწყობად შერჩეული ტერიტორიის მიმდებარედ მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობისთვის (სოფ. წინწყარო და სოფ. შავსაყდარი) შეთავაზებული ალტერნატიული სამოვრების ტერიტორიების საკადასტრო კოდები, ფართობების მითითებით. გარდა ამისა, შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ მიერ წარმოდგენილ დამატებით ინფორმაციაში მოცემულია ნაგავსაყრელის საპროექტო ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის ობიექტების მოწყობასთან დაკავშირებით შპს „საქართველოს მელიორაციასთან“ კომუნიკაციის ამსახველი ინფორმაცია, კერძოდ შპს „საქართველოს მელიორაციის“ კუთვნილი მილსადენების გადაკვეთის საკითხებს, მათ შორის გზის მოწყობის შემთხვევაში მძიმეწონიანი მანქანების მოძრაობით გამოწვეულ შესაძლო ზემოქმედებას. დამატებით წარმოდგენილი ინფორმაცია განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და დაინტერესებული საზოგადოებისთვის განისაზღვრა შენიშვნების წარმოდგენის ვადა. ზემოაღნიშნული საკითხები განსახილველად გადაგზავნილ იქნა ასევე შპს „საქართველოს მელიორაციასთან“ (წერილის N21/4164). მიმდინარე წლის 5 ივლისის Nგ-2344 წერილის შესაბამისად, შპს „საქართველოს მელიორაციას“ შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ ქვემო ქართლის ახალი არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის (ნაგავსაყრელის) მოწყობა-ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე დამატებით წარდგენილ ინფორმაციასთან დაკავშირებით შენიშვნები არ გააჩნია. წარმოდგენილ კორესპონდენციაში ასევე მოცემულია ინფორმაცია შპს „საქართველოს მელიორაციასა“ და შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიას“ შორის ხაზოვანი ნაგებობის (ს/კ 84.00.111) სერვიტუტით დატვირთვისა და სხვა ტექნიკური საკითხების შეთანხმების თაობაზე.

გზშ-ის ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია პროექტის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, არაქმედების ალტერნატივა უარყოფილ იქნა პროექტის განხორციელებით ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე

მოსალოდნელი დადებითი ზემოქმედების გათვალისწინებით. დოკუმენტაციაში დეტალურადაა აღწერილი საპროექტო ობიექტის მდებარეობის ალტერნატივების შესწავლისა და შერჩევის საკითხები. ადგილმდებარეობის ალტერნატივის შეფასების მიზნით გამოყენებული იქნა გარემოსდაცვითი, ტექნიკური, ეკონომიკური და სოციალური კრიტერიუმები (მაგ: მანძილი უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე, რეკრეაციული ზონამდე; მანძილი ზედაპირული წყლის ობიექტამდე; ტერიტორიაზე არსებული გრუნტების სტაბილურობა; ტოპოგრაფია და სხვა). გზშ-ის ანგარიშში მოცემულია ადგილმდებარეობის ოთხი ალტერნატიული ვარიანტი და წარმოდგენილია თითოეული ალტერნატიული ტერიტორიის მდებარეობის, ფართობის, მიწათსარგებლობის კატეგორიის შესახებ ინფორმაცია, შესაბამისი ფოტო მასალისა და უახლოეს დასახლებამდე, მდინარემდე, მთავარ გზამდე მანძილების მითითებით: N1 - ლოკაცია თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფელი შავსაყდრიდან 1600 მ დაშორებით, სოფ. წინწყაროს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე მდებარე ნაკვეთი (X-471787.834; Y-4599209.198); N2 - ლოკაცია სოფელ ნახიდურთან, ბოლნისის მუნიციპალიტეტში (X-469874.968; Y-4591657.039); N3 - ლოკაცია რატევანი, ბოლნისის მუნიციპალიტეტში (X-460180.621; Y-4592030.828); N4 - ლოკაცია ქვემო ბოლნისი (X-463001.048; Y-4586133.240). დოკუმენტაციაში ასევე წარმოდგენილია, ალტერნატიული მდებარეობების საგზაო ინფრასტრუქტურის, არსებული საკომუნიკაციო სისტემების, ჰიდრო-გეოლოგიური და ტოპოგრაფიულ-მორფოლოგიური პირობების შესახებ ინფორმაცია. შესაბამისი კრიტერიუმების (გარემოსდაცვითი/სოციალური, ტექნიკურ/ეკონომიკური) დეტალური ანალიზის საფუძველზე შერჩეულ იქნა N1 ალტერნატიული ტერიტორია.

ქვემო ქართლის რეგიონული, არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის (ნაგავსაყრელის) მოწყობა-ექსპლუატაცია დაგეგმილია თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში მდებარე მიწის ნაკვეთებზე საკადასტრო კოდებით: 84.10.38.046 და 84.10.38.017. შერჩეული მიწის ნაკვეთებიდან ერთი (ს/კ: 84.10.38.046) წარმოადგენს კომპანიის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 158000 მ² ფართობის ნაკვეთს, ხოლო მეორე სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ 50000 მ² ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს (ს/კ: 84.10.38.017). გზშ-ის ანგარიშის თანახმად, აღნიშნული ნაკვეთი (ს/კ: 84.10.38.017) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით წარმოადგენდა ფიზიკური პირის საკუთრებას, თუმცა ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე მოხდა ნაკვეთის როგორც მიწის დანიშნულების არასასოფლო-სამეურნეოდ ცვლილება, ასევე სახელმწიფო საკუთრებაში გადმოტანა, ხოლო ფიზიკური პირს გადაეცა ალტერნატიული მიწის ნაკვეთი. საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი დასახლებული ობიექტი, სოფ. შავსაყდარი მდებარეობს 1600 მ, ხოლო სოფ. წინწყარო 2150 მეტრში. საპროექტო ტერიტორიიდან პირდაპირი მანძილი უახლოეს ზედაპირული წყლის ობიექტამდე, მდ. ალგეთამდე - 1400 მ-ს შეადგენს. საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ განთავსებულია წყალსაქაჩი სადგური (ს/კ 84.10.38.031), ხოლო ტერიტორიის საზღვრებში მდებარეობს ორი ელექტროგადამცემი ხაზი, რომლებიც ემსახურებიან არსებულ წყალსაქაჩ სადგურს. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ელექტროგადამცემი ხაზები კვეთს საპროექტო ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს, რომელიც ნარჩენების განთავსების ობიექტის საზღვარზეა და

ელექტროგადამცემი ხაზების ქვეშ არ არის გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული ობიექტების განთავსება. საპროექტო ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთით, დაახლოებით 550 მ დაშორებით მდებარეობს შპს „ნიტრო-კორდექსის“ სასაწყობო ტერიტორია შენობა-ნაგებობებით (ს/კ: 84.10.38.008), სადაც იწარმოება სამრეწველო დანიშნულების ასაფეთქებელი ნივთიერებები. ნაკვეთის ჩრდილოეთით, აღმოსავლეთით და სამხრეთით მომიჯნავედ მდებარეობს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი (ს/კ 84.10.38.052). გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორია მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სამხედრო აეროდრომის ცენტრიდან დაშორებულია 13.29 კილომეტრით.

საპროექტო ტერიტორიამდე მიდის გრუნტის მეორეხარისხოვანი გზა. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, აღნიშნული, გრუნტის (1800 მ სიგრძის) გზა შერჩეულ ლოკაციას აკავშირებს მარნეული-თეთრიწყარო-წალკის მეორეხარისხოვან გზასთან. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ნაგავსაყრელის განთავსების ადგილთან დამაკავშირებელი მეორეხარისხოვანი გრუნტის გზის განახლება, რომელიც მოემსახურება ნაგავშიდების უსაფრთხო გადაადგილებას. კერძოდ, დაგეგმილია 7 მ სიგანისა და 1800 მ სიგრძის გზის კეთილმოწყობა.

საპროექტო ტერიტორიის მთლიანი ფართობი შეადგენს 20.8 ჰექტარს. ნარჩენების განთავსებისათვის გამოყოფილი ტერიტორია არის 9.62 ჰა, საიდანაც 4.97 ჰა წარმოადგენს პირველი ეტაპისთვის (უჯრედი N1 და N2), ხოლო 4.65 ჰა მეორე ეტაპისთვის (უჯრედი N3 და N4) ასათვისებელ ფართობებს. საპროექტო ნაგავსაყრელზე ნარჩენების განთავსებისთვის გამოყოფილი უჯრედების ზედაპირის ფართობები შემდეგია: უჯრედი N1 - 1.9 ჰა; უჯრედი N2 - 3.07 ჰა; უჯრედი N3 - 2.3 ჰა; უჯრედი N4 - 2.35 ჰა. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, თითოეული უჯრედის ფსკერის სიმაღლე ზღვის დონიდან განსხვავებულია, შესაბამისად უჯრედების მაქსიმალური სიმაღლეები შემდეგია: N1 უჯრედზე ნარჩენების სიმაღლე პირველი ფაზისთვის მიაღწევს ზღვის დონიდან 721 მ-ს (დაახლოებით 6 მ მიწის ზედაპირიდან), ხოლო მაქსიმალური სიმაღლე - 755 მ-ს (დაახლოებით 34 მეტრი მიწის ზედაპირიდან); N2 უჯრედზე ნარჩენების სიმაღლე პირველი ფაზისთვის მიაღწევს ზღვის დონიდან 721 მ-ს (დაახლოებით 2 მ მიწის ზედაპირიდან), ხოლო მაქსიმალური სიმაღლე - 758 მ-ს (დაახლოებით 39 მეტრი მიწის ზედაპირიდან); N3 უჯრედზე ნარჩენების განთავსების მაქსიმალური სიმაღლე იქნება 755 მ-ს (დაახლოებით 38.5 მეტრი მიწის ზედაპირიდან); N4 უჯრედზე ნარჩენების განთავსების მაქსიმალური სიმაღლე იქნება 758 მ-ს (დაახლოებით 35 მეტრი მიწის ზედაპირიდან). ნარჩენების განთავსების ობიექტის მშენებლობა განხორციელდება ორ ეტაპად. პროექტის პირველი ეტაპი მოიცავს ნარჩენების განთავსებისათვის განკუთვნილი N1 და N2 უჯრედების, ასევე საპროექტო ობიექტის ფუნქციონირებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის სრული მოცულობის მოწყობას, მისასვლელი გზის ჩათვლით. მაგალითად პირველ ეტაპზე მოეწყობა: მისასვლელი გზა (ადგილობრივ გზასთან მიერთება); პერიმეტრული ღობე და ჭიშკარი; შიდა გზების ქსელი; შესასვლელი ზონა, ავტოსადგომი და განათება; საპლატფორმო სასწორი და მისი საგუმბაგო შენობა; გადამუშავებადი მასალების საცავი/შენობა - ნიმუშების აღების ზონა; ადმინისტრაცია, ლაბორატორია, შენობა-ნაგებობები პერსონალის სარგებლობისთვის; ავტოფარეხი სახელოსნო დანადგარებისთვის და სასაწყობე ოთახები (მათ შორის

დიზელის რეზერვუარი); სადებიინფექციო უბანი; ჩამდინარე წყლების, ელექტრომომარაგების, წყალმომარაგების (სასმელი წყალი) სისტემები და კომუნიკაციები; საკანალიზაციო ქსელი; სასმელი წყლის ქსელი; ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა; დამატებითი დამხმარე სისტემები (ფრინველებისგან დაცვის სისტემა, მეტეო სადგური, სახანძრო სიგნალიზაცია, უსაფრთხოების კამერა და სერვერი, ლაბორატორია, სხვა); N1 და N2 უჯრედები.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, N1 და N2 უჯრედების მიწის სამუშაოების ჩატარების შემდეგ მოეწყობა საიზოლაციო სისტემა, გამონაჟონი წყლის შეგროვების სისტემა და სადრენაჟო ქსელი. N1 უჯრედში ნარჩენების განთავსების პერიოდში, N2 უჯრედისთვის აშენდება საიზოლაციო, გამონაჟონის შეგროვებისა და სადრენაჟო სისტემები. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, N1 უჯრედში მყარი ნარჩენების განთავსება მოხდება მანამ, სანამ ნარჩენების დონე არ მიაღწევს გარკვეულ დონეს, შემდგომ ნარჩენები განთავსდება N2 უჯრედში. როდესაც N2 უჯრედში ნარჩენები გაუტოლდება N1 უჯრედის დონეს, ნარჩენების განთავსდება ერთდროულად N1 და N2 უჯრედებში, ზღვის დონიდან 721 მ ნიშნულამდე. გზმ-ის ანგარიშის შესაბამისად, N1 და N2 უჯრედების სრული ტევადობა დაახლოებით 427000 მ³-ს შეადგენს (470000 მ³-ს ყოველდღიური მიწის გადაფარვის ჩათვლით).

მეორე ეტაპის მშენებლობა მოიცავს: არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის ფუნქციონირებისთვის საჭირო ყველა დამატებით, დამხმარე ინფრასტრუქტურისა და ნარჩენების განთავსების N3, N4 უჯრედების მოწყობას, მისასვლელი გზებისა და თხრილების მშენებლობას. პირველი ეტაპის განმავლობაში, როდესაც არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის (უჯრედი N1 და N2) სიმაღლე მიაღწევს ზღვის დონიდან 721 მ-ს, ნარჩენების განთავსება დაიწყება N3 უჯრედში. N3 უჯრედში ნარჩენების განთავსება გათვალისწინებულია ზღვის დონიდან 716.5 ნიშნულამდე, როდესაც N3 უჯრედის სიმაღლე მიაღწევს მოცემულ ნიშნულს, ნარჩენები განთავსდება მხოლოდ N4 უჯრედში, ხოლო როდესაც ნარჩენების რაოდენობა გაუტოლდება N3 უჯრედის დონეს, ნარჩენების განთავსება მოხდება ერთდროულად N3 და N4 უჯრედებში, ზღვის დონიდან 726 მ ნიშნულამდე, რაც N3 უჯრედისთვის წარმოადგენს 9.5 მ-ს, ხოლო N4 უჯრედისთვის 3 მ-ს მიწის ზედაპირიდან. აღნიშნული დონის მიღწევის შემდეგ, ნარჩენები განთავსდება პირველი და მეორე ფაზის ტერიტორიაზე ერთდროულად, ნარჩენების განთავსების მაქსიმალურ საპროექტო სიმაღლის მიღწევამდე - ზღვის დონიდან 758 მ ნიშნულამდე (დაახლოებით 35 მ მიწის ზედაპირიდან N4 უჯრედისათვის). წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ნარჩენების განთავსების ობიექტის პირველი ფაზის ექსპლუატაციის პერიოდში გათვალისწინებულია 427000 მ³, ხოლო მეორე ფაზისთვის (პირველი და მეორე ეტაპზე ობიექტის საერთო ტევადობა) დაახლოებით 1582000 მ³ არასახიფათო ნარჩენის განთავსება (1740000 მ³-ს ყოველდღიური მიწით გადაფარვის მოცულობის ჩათვლით).

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, ნაგავსაყრელის მშენებლობა დასრულდება 14 თვეში, ხოლო ექსპლუატაციის ვადა განსაზღვრულია 29 წლითა და 11 თვით. დოკუმენტაციის თანახმად, ვინაიდან, „ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის

№421 დადგენილების მიხედვით, ნარჩენების განთავსების ობიექტის დახურვის შემდგომი მოვლის, მონიტორინგისა და კონტროლის ვადა განისაზღვრება სამინისტროს მიერ დადგენილი ვადით, ქვემო ქართლის მყარი ნარჩენების განთავსების ობიექტის (ნაგავსაყრელის) სასიცოცხლო ციკლი წარმოადგენს ოპერირების პერიოდს (29 წელი და 11 თვე) დამატებული სამინისტროს მიერ განსაზღვრული დახურვის შემდგომი მოვლის პერიოდი. გზშ-ის ანგარიშს თან ახლავს ობიექტის დახურვისა და შემდგომი მოვლის გეგმა.

წარმოდგენილია ნაგავსაყრელზე მისაღები ნარჩენების ნუსხა, სადაც მოცემულია ინფორმაცია მისაღები ნარჩენების შესახებ (მათ შორის ნარჩენების სახეობები, კოდები და სხვა). წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ნაგავსაყრელზე მისაღები ნარჩენების ნუსხა მოიცავს არასახიფათო ნარჩენებს, გარდა სითხეებისა და ნარჩენებისა, რომელიც წარმოიქმნება მინერალური რესურსების შესწავლის, მოპოვების, ფიზიკური/ქიმიური დამუშავებისა და კარიერების ექსპლუატაციის შედეგად, ასევე, სტაბილურ და რეაქციისუნარო (გამყარებული, გამინებული სახით) სახიფათო ნარჩენებს.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, ნაგავსაყრელის უჯრედების დაფარვისთვის და გარემოს კომპონენტებზე ზემოქმედების პრევენციისა და შერბილების მიზნით, გათვალისწინებულია საიზოლაციო (ზედა და ქვედა საიზოლაციო სისტემები) და სადრენაჟო სისტემების მოწყობა.

ქვედა საიზოლაციო ფენა შედგება შემდეგი კომპონენტებისგან (ქვემოდან ზემოთ): ქვედა საიზოლაციო ფენა; გეოლოგიური ბარიერი; გეოსინთეზური თიხის შრე/ლაინერი; HDPE გეომემბრანის შრე; გეომემბრანის დამცავი ფენა; სადრენაჟო სისტემა; განმაცალკევებელი გეოტექსტილი. გეოლოგიური ბარიერს წარმოადგენს ექსკავაციის შედეგად წარმოქმნილი მიწა, რომლის მინიმალური სისქე იქნება 0.50 მ. მისი განთავსება მოხდება ტერიტორიის ბუნებრივ ნიადაგზე და სრულად დაფარავს ნარჩენების განთავსების ობიექტის ფსკერს და მის გვერდით ფერდობებს და პერიმეტრულ ნაპირებს. გეოლოგიურ ბარიერზე განთავსდება გეოსინთეზური თიხის შრე, რომელიც სრულიად დაფარავს ნარჩენების განთავსების ობიექტის ფსკერს. გეოსინთეზური თიხის შრის ზედაპირზე განთავსდება 2 მმ სისქის HDPE გეომემბრანის შრე, რომელიც სრულად დაფარავს ნარჩენების განთავსების ობიექტის ფსკერს და მის ფერდებს. შემდეგ განთავსდება გეომემბრანის დამცავი ფენა, რომელიც წარმოადგენს უქსოვადი გეოტექსტილის საფარს და გეომემბრანის ზედაპირს იცავს დაზიანებისგან. დამცავი გეოტექსტილის ზედაპირზე განთავსდება გამონაჟონის სადრენაჟო სისტემა (0.50 მ სისქის სადრენაჟო ფენა, პერფორირებული მილების ქსელი და ა.შ.), რომელიც სრულად შეაგროვებს ნარჩენებისგან წარმოქმნილ გამონაჟონს. სადრენაჟო სისტემა დაფარავს მთლიანად ნარჩენების განთავსების ობიექტის უჯრედების ფსკერს, გვერდების ფერდებსა და ნაპირებს. გამონაჟონის სადრენაჟო სისტემის თავზე განთავსდება განმაცალკევებელი გეოტექსტილი, რომელიც წარმოადგენს პოლიპროპილენისგან ნაქსოვ მასალას და იცავს მის ქვეშ განთავსებულ გამონაჟონის სადრენაჟო სისტემას ნარჩენების ნაწილაკებისაგან. იგი დაფარავს ნარჩენების განთავსების ობიექტის უჯრედების ფსკერს, მის ფერდებსა და ნაპირებს.

ზედა საიზოლაციო სისტემა შედგება შემდეგი კომპონენტებისგან (ქვემოდან ზემოთ): გამათანაბრებელი ფენა; შუალედური ფენა; აირების სადრენაჟო სისტემა; შუალედური

ფენა; გეოლოგიური ბარიერი; დამცავი გეოტექსტილი; HDPE გეომემბრანის შრე; დამცავი გეოტექსტილი; სადრენაჟო სისტემა; შუალედური ფენა; რეკულტივაციის ფენა. გამათანაბრებელი ფენა არის ნიადაგის ფენა, ასევე განმაცალკეველი გეოტექსტილი, რომელიც წარმოადგენს პოლიპროპილენისგან ნაქსოვ მასალას და იცავს აირების შეგროვების სისტემას ნარჩენების ნაწილაკებისაგან. აირების სადრენაჟო სისტემა სრულად აგროვებს ნარჩენების მიერ წარმოქმნილ აირებს. საიზოლაციო სისტემის გეოლოგიური ბარიერი შეიძლება შედგებოდეს ადგილობრივი სამშენებლო ობიექტის ექსკავაციის შედეგად წარმოქმნილი ნიადაგისგან, რომლის მინიმალური სისქე 0.50 მ იქნება. გეოლოგიური ბარიერი განთავსდება განმაცალკეველ გეოტექსტილზე და დაფარავს ზედა საფარის თხემს და გვერდით ქანობებს. 2 მმ სისქის HDPE გეომემბრანის შრე განთავსდება დამცავი გეოტექსტილის ზედაპირზე. დამცავი გეოტექსტილი წარმოადგენს პოლიპროპილენისგან ნაქსოვ მასალას და იცავს მასზე განთავსებულ გეომემბრანას. სადრენაჟო სისტემის საშუალებით მოხდება ნალექების დრენირება, რომლებიც ხვდება ზედა საიზოლაციო სისტემის ზედაპირზე, რეკულტივაციის ფენაზე. სადრენაჟო ფენის სისქე იქნება 0,5 მ. აღნიშნული ფენისთვის გამოყენებული იქნება ღორღი. გეოტექსტილის ფენა განთავსდება სადრენაჟო სისტემის ზემოთ. გეოტექსტილის ზედაპირზე მოეწყობა 1 მ სისქის რეკულტივაციის ფენა.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ობიექტზე ნარჩენების მიღების პროცედურა მოიცავს შემდეგ ოპერაციებს: ობიექტზე ნარჩენების შეტანამდე და გადმოტვირთვამდე მფლობელებმა უნდა წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის კრიტერიუმებთან შესაბამისობის დასაბუთებისთვის, რის შემდგომ მოხდება: დოკუმენტაციის შემოწმება (ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო ნომერი, ობიექტზე შესული ნარჩენების კოდები); ნარჩენების რაოდენობის განსაზღვრა სასწორის საშუალებით; საჭიროების შემთხვევაში ნარჩენების ვიზუალური შემოწმება ნარჩენების მიღებამდე და განთავსებამდე; მიღებული ნარჩენების აღრიცხვა და ანგარიშგება.

იმ შემთხვევაში, თუ პირველადი ვიზუალური დათვალიერებით გამოვლინდება იურიდიულად მიუღებელი ან საეჭვო ნარჩენები, სატვირთო მანქანა არ დაიშვება ობიექტზე და შედგება ოქმი ინციდენტის დეტალური აღწერისთვის.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ობიექტზე ნარჩენების მიღების პროცედურის გავლის შემდეგ, ნარჩენები გადაიტვირთება აქტიურ უჯრედში. ნარჩენები განთავსდება 2 მეტრიანი სისქის ფენით, თითოეული ფენა კომპაქტორის საშუალებით დაიტკეპნება და მოხდება 30-50 სმ-იანი დახრილი იარუსების ფორმირება. ნარჩენების დატკეპნა და მისი ინერტული ან სხვა საიზოლაციო მასალით ყოველდღიური გადაფარვა შეამცირებს უსიამოვნო სუნის გავრცელებას და შეაფერხებს ნარჩენების მსუბუქი ფრაქციების გაფანტვას. ნარჩენების დატკეპნილი ფენა დაიფარება ყოველდღიურად (თუ ტემპერატურა $+5^{\circ}\text{C}$ -ზე მეტია) ან ყოველ სამ დღეში (თუ ტემპერატურა $+5^{\circ}\text{C}$ -ზე დაბალია) 10-20 სმ გრუნტით ან სხვა ტიპის ინერტული/საიზოლაციო მასალით.

ნარჩენების განთავსების აქტიური უჯრედების ირგვლივ დამონტაჟდება ქარის საწინააღმდეგო ბადეები ან მობილური ღობეები მსუბუქი ნარჩენების გაფანტვის მინიმუმამდე შესამცირებლად. მშრალ ამინდში მტვრის გამოყოფის თავიდან

ასაცილებლად, ნარჩენების ზედაპირი მოიწვევა. საჭიროების შემთხვევაში, დანამვა განხორციელდება სხვადასხვა მასალის გადმოტვირთვის დროსაც. მტვრიანი მასალების შემცველი კონტეინერები გადაიფარება ადგილზე შენახვისას და ტრანსპორტირების დროს. ობიექტის ტერიტორიის დატოვებამდე ყველა მანქანა, რომელსაც შეხება ჰქონდა ნარჩენებთან, გაივლის დეზინფექციას.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია საპროექტო ტერიტორიის გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა, რელიეფი, კლიმატი, გეომორფოლოგიური და მეტეოროლოგიური პირობები, ბიოლოგიური გარემო, ჰიდროგეოლოგიური და გეოლოგიური პირობები.

გზმ-ის ანგარიშში და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ გაფრქვევის ნორმების პროექტში შეფასებულია დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შედეგად ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედება, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების შემადგენლობა, რაოდენობრივი მაჩვენებლები და გაფრქვევის სხვა პარამეტრები. ვინაიდან, პროექტის მიხედვით, შევსებული უჯრედების სანაცვლოდ, მომდევნო უჯრედების მშენებლობა განხორციელდება ნარჩენების განთავსების ობიექტის ოპერირების პარალელურად, მშენებლობისა და ექსპლუატაციის ფაზები სრულად არ არის გამოიჯნული. მიუხედავად აღნიშნულისა, მშენებლობის ფაზად განისაზღვრა ის პერიოდი, სანამ ნარჩენების განთავსების ობიექტი შეძლებს ნარჩენების მიღებას. დოკუმენტის მიხედვით, მშენებლობის ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედება მოსალოდნელია მიწის სამუშაოების, სამშენებლო-სამონტაჟო ოპერაციების, მათ შორის ჩართული მანქანა-დანადგარების შედეგად. ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედებასა და სუნის წარმოქმნასთან დაკავშირებულია ნარჩენების გადმოტვირთვის/განთავსების ოპერაციები; დაუფარავი მყარი მუნიციპალური ნარჩენები; ობიექტის ზედაპირი; ბიოგაზის მართვის სისტემა და ჩირაღდანის; დიზელის რეზერვუარი; მანქანების სამრეცხაო; საბურავების სადენზინფექციო დანადგარი; გამონაჟონის გამწმენდი სისტემა; მანქანების პარკირების ოპერაციები. ნაგავსაყრელის ფუნქციონირებისას ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა შემდეგი სახის მავნე ნივთიერებები: რკინის ოქსიდი, მანგანუმი და მისი ნაერთები, აზოტის დიოქსიდი, ამიაკი, აზოტის ოქსიდი, ქლორწყალბადი, ჭვარტლი, გოგირდის დიოქსიდი, გოგირდწყალბადი, ნახშირბადის ოქსიდი, აირადი ფტორიდები, ძნელად ხსნადი ფტორიდები, ქლორი, მეთანი, ქსილოლი, ტოლუოლი, ეთილბენზოლი, ფენოლი, ფორმალდეჰიდი, ეთილმერკაპტანი, ნავთის ფრაქცია, ნაჯერი ნახშირწყალბადები C₁₂-C₁₉, შეწონილი ნაწილაკები და არაორგანული მტვერი.

მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციების გაანგარიშების შედეგების მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების პროცესში და ნაგავსაყრელის ექსპლუატაციის პერიოდში ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია არ აჭარბებს ნორმით დადგენილ დასაშვებ მნიშვნელობებს ობიექტიდან 500 მეტრიანი რადიუსის საზღვარზე და უახლოეს დასახლებულ პუნქტთან (1600 მ). ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შემცირების მიზნით, გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია სხვადასხვა შემარბილებელი ღონისძიებები, კერძოდ შემოტანილი ნარჩენების დროული კომპაქტირება და გადახურვა შუასაგები

ფენით, ობიექტის პერიმეტრზე მწვანე ნარგავების გაშენება, რაც შეამცირებს ქარით მსუბუქი ფრაქციების ტერიტორიის გარეთ გაფანტვას, მანქანა-დანადგარების მუდმივი შემოწმება გამართულობაზე, საჩივრების მექანიზმის დანერგვა და ეფექტური მუშაობა, მშენებლობის ეტაპზე მაღალი ამტკვრების პერიოდსა და მშრალ დღეებში ტერიტორიის და გზის მორწყვა, დასახლებულ პუნქტებში მანქანების გადაადგილების თავიდან აცილება, სიჩქარის შეზღუდვა და ა.შ.

დოკუმენტაციის თანახმად, ნაგავსაყრელი აღჭურვილი იქნება აირების შეგროვების და დაწვის სისტემით, რაც შეამცირებს ნაგავსაყრელზე სუნის გავრცელებას. ობიექტისათვის გამოყენებული იქნება ჩირაღდნული წვის სისტემა და აქტიური გაფართოების ვერტიკალური ქსელი. სისტემა მოიცავს: ვერტიკალურ შემგროვებელ ჭებს; შემგროვებელი ჭების თავებს; მილსადენების სისტემას, რომლის მეშვეობითაც ბიოგაზი მიეწოდება ცენტრალურ, გაზის შემგროვებელ და გადამამუშავებელ სადგურს; წყლის გამყვან სიფონებს; ჩირაღდნულ წვას.

ნარჩენების განთავსების დაწყებისთანავე მოეწყობა უჯრედში ვერტიკალური ჭების სისტემა. აირგამყვანი 41 ვერტიკალური ჭა მოეწყობა ბეტონის სპეციალურ საფუძველზე უჯრედის ძირში, ქვედა საიზოლაციო ფენებიდან დაახლოებით 2 მ ზემოთ. ჭებს შორის მანძილი 50 მეტრს შეადგენს. ჭები ეტაპობრივად მოეწყობა და ნარჩენების განთავსების პარალელურად იფუნქციონირებს, რაც იძლევა ბიოგაზის წარმოქმნის დაწყებისთანავე მისი ამოტუმბვის შესაძლებლობას. ჭები აღჭურვილი იქნება მაღალი სიმკვრივის პოლიეთილენის (HDPE) მილსადენებით (DA160, SDR17). თითოეული ჭის ზედაპირზე განთავსდება უჟანგავი ფოლადის გისოსის დამცავი სახურავი. აირების გამყვანი ვერტიკალური ჭების თავები მზადდება მაღალი სიმკვრივის პოლიეთილენისგან (HDPE) და აღჭურვილია ტელესკოპური შეერთებით დახვრეტილ მილთან და აირის გამყვან ქსელთან დამაკავშირებელი მილტუჩით. ჭის თავს შეუძლია ჭაში კონდენსატის განცალკევება, მექანიკური სარქველის მეშვეობით ჭაში უარყოფითი წნევის რეგულირება, ბიოგაზის სინჯის აღება (მეთანის მოცულობის გასაზომად), ჭის უარყოფითი წნევისა და ჰაერის მიწოდების გაზომვა, ქსელში უარყოფითი წნევის გაზომვა, რაც მოსდევს სარქველის რეგულირებას. ჰორიზონტალური მილსადენის ქსელი გამოიყენება მოქმედ სისტემებში აირის ჭებიდან ჩირაღდნამდე გადასატანად. მილების სისტემის თითოეულ შტოზე მიმაგრებულია რამდენიმე ექსტრაქციის ჭა. ინდივიდუალური ჭებიდან/შტოებიდან მომავალი ნაკადები კონტროლდება სარქველებით. ნარჩენების განთავსების ობიექტზე ჰორიზონტალური მილების ქსელი ვერტიკალურ ჭებს ერთმანეთთან და ქვესადგურებთან აერთებს, რის შედეგადაც ხორციელდება ჩირაღდნული წვის სადგურის ცენტრალურ ნაწილში აირის მიწოდება. ვერტიკალური ჭების გარდა, თითოეულ უჯრედს ესაჭიროება საკუთარი ჰორიზონტალური ქსელი. ჰორიზონტალური ქსელი შედგება მილსადენის 7 მონაკვეთისგან, რომელიც აერთიანებს 5-7 ჰორიზონტალურ ჭას. აღნიშნული მონაკვეთები უერთდება ქვესადგურს, ხოლო შემდეგ - ცენტრალურ მილს. აირის შეგროვების სადგურები უზრუნველყოფენ აირების შეგროვებასა და თითოეულ ჭაში აირის ნაკადის რეგულირებას. თითოეული სადგური აღჭურვილი იქნება 7 დამაკავშირებელი მილით. თითოეულ გამავალ მილს გააჩნია ორმხრივი სარქველი ეტაპობრივი რეგულირებისთვის.

ცენტრალური მილსადენი აირის შეგროვების სადგურებს ჩირაღდნული წვის სადგურთან აკავშირებს.

ნაგავსაყრელის ექსპლუატაციის ეტაპზე შეგროვილი ბიოგაზის წვა განხორციელდება ჩირაღდნული წვის სადგურში. აღდგენილი ბიოგაზი მთლიანად და ჰომოგენურად დაიწვება ჩირაღდანში ჭარბი ჰაერის მეშვეობით, რათა შემცირდეს ატმოსფერულ ჰაერში დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიები. ჩირაღდნის სისტემა იქნება დახურული ტიპის, სადაც აირის ინსინერაცია მოხდება დაახლოებით 800 - 1000°C ტემპერატურაზე, გაზის ტოქსიკური კომპონენტების განადგურების უზრუნველსაყოფად. ნაგავსაყრელის დახურული ტიპის ჩირაღდნის სიმაღლე იქნება დაახლოებით 10 მ. ემისიების გაფრქვევის მხრივ, ჩირაღდნიდან ზემოქმედების არეალი იქნება დაახლოებით 500 მ რადიუსი. ვინაიდან აღნიშნულ რადიუსში არ ხვდება საცხოვრებელი სახლები, დასახლებულ პუნქტზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

უსიამოვნო სუნის გავრცელების შემცირების მიზნით, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია სხვადასხვა შემარბილებელი ღონისძიებები, მათ შორის: ნაგავსაყრელის გაზის წვა ჩირაღდნის მეთოდით; ნარჩენების განთავსების დაუფარავი ადგილების მინიმინაცია; გამონაჟონის შეგროვება და დამუშავება; ნაგავსაყრელის გაზის მონიტორინგი აირების შემგროვებელი აღჭურვილობის ლოკალური ეფექტურობის დასადგენად და აირების კონცენტრაციის დასადგენად და საჭიროების შემთხვევაში დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება; მიღებული ნარჩენების გადაფარვა საიზოლაციო მასალით და სხვ.

გზშ-ის ანგარიშში შეფასებულია ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება. ხმაურის წარმოქმნა მოსალოდნელია ობიექტის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ხმაურის დონეების გაანგარიშების შედეგების მიხედვით, სოფ. შავსაყდართან (1600 მ) მოსალოდნელი ხმაურის დონემ შესაძლოა მიაღწიოს 44,8 დბა-ს, ხოლო სოფ. წინწყაროსთან 42.4 დბა-ს. შესაბამისად, ხმაურის დასაშვებ ნორმებზე გადაჭარბება მოსალოდნელი არ არის. ამასთან, კომპანიის მიერ გატარებული იქნება შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ნარჩენების განთავსების ობიექტის მშენებლობის ეტაპზე სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგება (1076.75 მ³/წელ) უზრუნველყოფილი იქნება წყლის მანქანებით. მშენებლობის ეტაპზე, დღე-ღამეში წარმოიქმნება 2.655 მ³ (969.1 მ³/წელ) სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყალი. დოკუმენტაციის მიხედვით, სამშენებლო ბანაკის სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები შეგროვდება წყალგაუმტარ ავზში და შემდგომი მართვის მიზნით გაიტანება საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის თეთრიწყაროს სერვისცენტრში, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. გზშ-ის ანგარიშის შესაბამისად, ვინაიდან, სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე ავტოსამრეცხაო, ინერტული მასალების სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარისა და სხვა წყალმომხმარებელი ინფრასტრუქტურის მოწყობა არ არის გათვალისწინებული, მშენებლობის ეტაპზე არ მოხდება სანიაღვრე წყლების დაბინძურება, ხოლო სანიაღვრე წყლების არინება მოხდება რელიეფის მიხედვით.

ექსპლუატაციის ეტაპზე, ობიექტის სასმელი წყლით უზრუნველყოფისთვის აშენდება 12.5 მ³ მოცულობის ავზი, ხოლო გვერდით განთავსდება სატუმბი სადგური, რომელიც შედგება 2 ტუმბოსგან (ერთო სარეზერვო) სიმძლავრით $Q=3.5$ მ³/სთ. რეზერვუარის წყალმომარაგება მოხდება წყლის ავზიანი მანქანების მეშვეობით. სასმელი წყლის ქსელი მილსადენების საშუალებით დაკავშირებული იქნება შენობებში არსებული წყლის დანადგარების შემავალ წერტილებთან. მილები ჩაიდება 1 მ სიღრმის თხრილში. ოპერირების ეტაპზე საწარმოო დანიშნულებით წყლის გამოყენება გათვალისწინებულია სატრანსპორტო საშუალებების საბურავების სამრეცხაოში, ტერიტორიის მოსარწყავად და ხანძარსაწინააღმდეგო დანიშნულებით. ობიექტის საწარმოო დანიშნულებით წყალმომარაგება განხორციელდება სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგების სისტემიდან, აგრეთვე შესაძლებელია დამუშავებული (გაწმენდილი) ჩამდინარე წყლების გამოყენება. ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა დამონტაჟდება ადმინისტრაციულ შენობაში.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად ნარჩენების განთავსების ობიექტზე დაგეგმილი წყალარინების სისტემა შედგება ორი ნაწილისაგან: ნარჩენების განთავსების ობიექტის შიდა წყალარინების სისტემა, რომელიც შეგროვებულ წყალს მიმართავს სანიაღვრე წყლის შემგროვებელი ავზისკენ და გარე წყალარინების სისტემა, რომელიც ტრაპეციის ფორმის არხების საშუალებით აგროვებს და შეგროვებულ წყალს მიმართავს საბოლოო მიმღებისკენ (მდ. ალგეთი).

ნარჩენების განთავსების ობიექტზე წარმოქმნილ დაუბინძურებელ ზედაპირულ წყლებს წარმოადგენს ობიექტის გადახურული ზედაპირიდან შეგროვებული წვიმის წყალი, დროებით უფუნქციო ტერიტორიებიდან (ზედაპირი რომელიც მშენებლობის პროცესშია ან დაფარულია გადასაფარებელი მასალით) და ნარჩენების განთავსების ობიექტის პერიმეტრული გზიდან შეგროვებული წყლები. ამ ტიპის დაუბინძურებელი წყალი შეგროვდება პერიმეტრული გზის გასწვრივ მდებარე არხების მეშვეობით. სანიაღვრე არხების ყველაზე დაბალი წერტილიდან, წყალგამტარი მილის გავლით შეგროვდება სანიაღვრე წყლების 3000 მ³ მოცულობის შემაგროვებელი აუზი (50x40x1.5 მ პარამეტრები), რომელიც მოეწყობა მიწის აუზის სახით, რეგულარული დაცლის გარეშე. ავზი აშენდება ნარჩენების განთავსების ობიექტის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ტერიტორიის ყველაზე დაბალი წერტილზე. ავზის დრენაჟი მოხდება ნიადაგში გაჟონვით ან/და აორთქლებით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში გაწმენდილი წყალი ჩაშვებული იქნება მშრალ ხევში (GPS კოორდინატი X-472243; Y-4599271) და შემდეგ მდ. ალგეთში. ავზში შეგროვებული წყალი საჭიროების შემთხვევაში გამოყენებული იქნება შიდა მოხმარებისთვის (ხანძარსაწინააღმდეგო წყალი, მცენარეებისა და ხეების მორწყვა, გზების გასუფთავება, გზების მორწყვა).

დოკუმენტაციის თანახმად, ექსპლუატაციის ეტაპზე ადმინისტრაციულ შენობაში, ავტოფარეხსა და სადისპეტჩერო შენობაში არსებული სანიტარული კვანძებიდან მოსალოდნელია სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების წარმოქმნა, რომელთა ჩადინება მოხდება ნარჩენების განთავსების ობიექტიდან გამონაჟონის მართვის სისტემაში (გამათანაბრებელი რეზერვუარი), საიდანაც სანიაღვრე-საწარმოო ჩამდინარე წყლებთან

ერთად მოხდება გამწმენდ ნაგებობაში. გამწმენდ ნაგებობაში წყალი გაივლის ბიოლოგიურ გაწმენდას ციკლური მოქმედების რეაქტორში (SBR) და ბოლოს მიეწოდება 10 მ³/სთ წარმადობის მქონე უკუოსმოსის (RO) დანადგარს, რაც უზრუნველყოფს მაღალი ხარისხით გაწმენდას და ჩამდინარე წყლების საჭირო ხარისხის მიღწევას, რომ დაცული იყოს ზღვრულად დასაშვები ნორმები. სანიაღვრე წყლები, რომელთა დაბინძურება მოსალოდნელია დაღვრილი საწვავით (სამრეცხაო და ავტოფარების წინ მდებარე საწვავგასამართი ზონიდან წარმოქმნილი სანიაღვრე წყლები), გაივლიან სპეციალურ სეპარატორში და შემდეგ- გამონაჟონის შეგროვების სისტემის (გამათანაბრებელი რეზერვუარი) მეშვეობით მიეწოდება 10 მ³/სთ წარმადობის უკუოსმოსის (RO) დანადგარს.

ნარჩენების განთავსების ზონიდან გამომავალ სატრანსპორტო ზოლზე, შემოსული და გასული ტრანსპორტის დეზინფექციის მიზნით მოეწყობა საბურავების სამრეცხაო პუნქტი, სადეზინფექციო ობიექტთან ერთად. სატრანსპორტო საშუალებების საბურავების სამრეცხაოზე წარმოქმნილი ჩამდინარე წყლები ჩაედინება გამონაჟონის მართვის სისტემაში (გამათანაბრებელი რეზერვუარი), საიდანაც მოხდება ზემოაღნიშნულ უკუოსმოსის (RO) დანადგარში.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, ბიოქიმიური რეაქციების გამო, ასევე ობიექტის ტერიტორიის ზედაპირზე წარმოქმნილი ნალექისა და თოვლის მოსვლის შედეგად ნარჩენების მასაში წარმოიქმნება გამონაჟონი. გამონაჟონის მართვისთვის ობიექტის გარშემო მოეწყობა წყალარინების სისტემა, რათა სანიაღვრე წყლებმა ობიექტის უჯრედებში ვერ შეაღწიოს. ასევე, თითოეული უჯრედის დახურვის შემდეგ მოეწყობა მიწისზედა საიზოლაციო სისტემა. გამონაჟონის სადრენაჟო სისტემა მოეწყობა გეოტექსტილის დამცავი შრის თავზე და შედგება 0.5 მ სისქის ღორღისგან შემდგარი სადრენაჟო ფენისა და მაღალი სიმკვრივის პოლიეთილენის პერფორირებული მილების ერთიანი ქსელისგან, რომელიც მიმართული იქნება გამონაჟონის შემკრები ავზისკენ, საიდანაც გადაედინება გამონაჟონის გამწმენდ ნაგებობაში და ბოლოს მიეწოდება 10 მ³/სთ წარმადობის უკუოსმოსის (RO) დანადგარს.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე, სატრანსპორტო საშუალებების საბურავების სამრეცხაოზე წარმოქმნილი ჩამდინარე, საწვავით დაბინძურებული და უჯრედებზე ნარჩენების ორგანული ფრაქციის დეგრადაციის შედეგად და ნარჩენებში მოხვედრილი ატმოსფერული ნალექების გამონაჟონი წყლები გაწმენდის შემდეგ ჩაშვებული იქნება მშრალ ხევში (GPS კოორდინატი X-472205; Y-4599241) და შემდეგ მდ. ალგეთში.

გამწმენდი ნაგებობა შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: ხრახნული ცხაურა (სკრინინგი); გამათანაბრებელი ავზი აერაციით და pH-ის რეგულირებით; სალექარი ავზი, ფირფიტებიანი გამწმენდი დანადგარით; ლექის რეზერვუარი; მაღალი წნევის ქვეშ მომუშავე სატუმბი დანადგარები; ქვიშის და წნევის ფილტრი; უკუოსმოსის დანადგარი; გაწმენდილი წყლის საცავი რეზერვუარი და უკურეცხვის ტუმბოები; ტუმბოები; პოლიელექტროლიტის დანადგარი; სტატიკური შემრევი; ცენტრიფუგა. გამონაჟონის დამუშავების შედეგად მოცილებული ლექი დროებით დაყოვნდება ლექის ავზში, ხოლო შემდეგ სატუმბი სადგურის მეშვეობით გადაიტუმბება ცენტრიფუგის აგრეგატში დეჰიდრატაციისთვის. ცენტრაფუგის ფილტრების უკურეცხვის წყალი და ლექის

წყალგამოცლით მიღებული დრენაჟი გროვდება რეცირკულაციური სატუმბი სადგურის მიერ და უზრუნდება გამწმენდი ნაგებობის შესასვლელ პუნქტს.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ნარჩენების განთავსების ობიექტის მშენებლობის პროცესში დასაქმებული იქნება დაახლოებით 40 ადამიანი. ობიექტი ექსპლუატაციის ეტაპზე იმუშავებს 2 ცვლაში, თითოეულში გათვალისწინებულია დაახლოებით 17 თანამშრომელი და 8 ვიზიტორი (სულ 50 ადამიანი).

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, სამშენებლო ბანაკის მოსაწყობად გათვალისწინებულია მე-3 უჯრედის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილი, ვინაიდან, აღნიშნული ტერიტორია გამოუყენებელი იქნება პირველი ფაზის მშენებლობისას (სამშენებლო ბანაკის GPS კოორდინატები: 1. 41.5463515°, 44.6601692°; 2. 41.5462201°, 44.6610504°; 3. 41.5458246°, 44.660967°; 4. 41.5459335°, 44.6600686°).

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, ობიექტის მომსახურე ტექნიკისთვის განთავსდება 10 მ³ მოცულობის დიზელის რეზერვუარი, რომელიც განთავსდება ლითონის ან ბეტონის დახურულ სათავსში (საწვავის მეორადი დამჭერი). ასევე დამონტაჟდება საწვავის მრიცხველით აღჭურვილი ელექტრო ტუმბო, 1 ჩამოსასხმელი სვეტწერტი. საწვავის რეზერვუარის შევსება დაგეგმილია თვეში ერთხელ ან ორჯერ, შესაბამისად, თვეში შესაძლებელია 5000-10000 ლიტრი საწვავის მიღება. ტექნიკის საწვავით შევსება განხორციელდება ბეტონის იატაკზე. შევსების დროს წარმოქმნილი ნებისმიერი მცირე გამონაჟონის შესაკავებლად გამოყენებული იქნება სპეციალური წვეთების შესაგროვებელი უჯრები.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია საპროექტო ტერიტორიაზე ჩატარებული ბიომრავალფეროვნების კვლევების შედეგები, შეფასებულია საქმიანობის განხორციელების შედეგად ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი ზემოქმედების მასშტაბი და წარმოდგენილია შესაბამისი შემარბილებელი/საკომპენსაციო ღონისძიებები. ფლორის კვლევების შედეგების მიხედვით, ტერიტორიაზე გამოვლენილი არ არის წითელი ნუსხით დაცული მცენარეთა სახეობები. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ფლორის კვლევების შედეგების მიხედვით, ტერიტორიაზე სეზონურ მიგრაციების დროს და ზამთრის პერიოდში ან მიმდებარე ადგილებიდან შემომფრენ სახეობებში ფიქსირდება წითელი ნუსხით დაცული სახეობა - ფასკუნჯი (*Neophron percnopterus*). გარდა ამისა, საკვლევ ტერიტორიაზე აღრიცხულია საერთაშორისო კონვენციებით დაცული ფრინველთა სახეობები, მათი შორისაა: ძერა (*Milvus migrans*), ჩვ. კაკაჩა (*Buteo buteo*), მიმინო (*Accipiter nisus*), ქორი (*Accipiter gentilis*), ჩვ. კირკიტა (*Falco tinnunculus*), ყვითელფეხა თოლია (*Larus michahellis*), ქედანი (*Columba palumbus*), გვრიტი (*Streptopelia turtur*), გუგული (*Cuculus canorus*), ჭოტი (*Athene noctua*), ოფოფი (*Upupa epops*), კვირიონი (*Merops apiaster*), ყაყაპი (*Coracias garrulus*), მინდვრის ტოროლა (*Alauda arvensis*), ქოჩორა ტოროლა (*Galerida cristata*), თეთრი ბოლოქანქალა (*Motacilla alba*), ჩვ. ბოლოცეცხლა (*Phoenicurus phoenicurus*), შავი ბოლოცეცხლა (*Phoenicurus ochruros*), ჩვ. მელორღია (*Oenanthe oenanthe*), შავთავა ოვსადი (*Saxicola torquatus*), შაშვი (*Turdus merula*), რუხი ასპუჭაცა (*Sylvia communis*), რუხი მემატლია (*Muscicapa striata*), ღაჟო (*Lanius collurio*), ჭილყავი (*Corvus frugilegus*), ყვავი (*Corvus cornix*), ყორანი (*Corvus corax*), შოშია (შროშანი) (*Sturnus vulgaris*), სახლის ბელურა (*Passer*

domesticus), მინდვრის ბელურა (*Passer montanus*), სკვინჩა (*Fringilla coelebs*), მეკანაფე (*Carduelis cannabina*), ჩიტბატონა (*Carduelis carduelis*), ჩვ. გრატა (*Emberiza citrinella*), მეფეტვია (*Miliaria calandra*). რაც შეეხება ძუძუმწოვრებს, დაკვირვების შედეგად საკვლევ ტერიტორიაზე გამოვლინდა ძუძუმწოვრების შემდეგი ძირითადი სახეობები: ზღარბი (*Erinaceus concolor*), გრძელკუდა კბილთეთრა (*Crocidura gueldenstaedtii*), კურდღელი (*Lepus europaeus*), ჩვ. მემინდვრია (*Microtus arvalis*), საზოგადოებრივი მემინდვრია (*Microtus socialis*), ტყის თაგვი (*Apodemus sylvaticus*), მელა (*Vulpes vulpes*), ტურა (*Canis aureus*), მგელი (*Canis lupus*). ასევე ტერიტორიაზე ბინადრობენ ქვეწარმავლები: გველხოკერა (*Pseudopus apodus*), ზოლიანი ხვლიკი (*Lacerta strigata*), წენგოსფერი მცურავი (*Coluber najadum*), წყნარი ეირენისი (*Eirenis modestus*) და კატისთვალა გველი (*Telescopus fallax*). საპროექტო ტერიტორიის უწყლოობის გამო ამფიბიებიდან დაფიქსირებულია მხოლოდ ერთი სახეობა - მწვანე გომბეშო (*Bufo viridis*). დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორია რელიეფის ერთფეროვნებითა და მცენარეული საფარის სიმცირით გამოირჩევა. ამასთან, აღნიშნული ტერიტორიები თითქმის მთელი წლის განმავლობაში გამოიყენება სამოვრებად, შესაბამისად საპროექტო ნაკვეთი და მიმდებარე ტერიტორია არ ხასიათდება მაღალი ბიომრავალფეროვნებით. გარდა ამისა, დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის არეალში არსებული ფაუნა ღარიბია და წარმოდგენილია მრავალრიცხოვანი, ფართოდ გავრცელებული სახეობებით, რომლებიც არ საჭიროებენ დაცვის სპეციალურ ღონისძიებებს.

საპროექტო ტერიტორიიდან ფრინველთათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ტერიტორია დაშორებულია 47 კმ-ით, ხოლო ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ტერიტორია - 27 კმ-ით. საკვლევ ტერიტორიასთან ყველაზე ახლოს მდებარე დაცული ტერიტორიებია: ბირთვისის კლდის ბუნების ძეგლი (მანძილი 11 კმ) და სამშვილდის კანიონის ბუნების ძეგლი (მანძილი 12 კმ). საპროექტო ტერიტორიიდან 12 კმ-ში მდებარეობს ზურმუხტის ქსელის დამტკიცებული საიტი (GE0000044 - სამშვილდე). არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტიდან დაახლოებით 100 მეტრში მდებარეობს სახელმწიფო ტყის ტერიტორია.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია კულტურული მემკვიდრეობის/არქეოლოგიურ ძეგლებზე ზემოქმედების კვლევები, რომლის მიხედვით საპროექტო არეალში, კულტურული მემკვიდრეობისა და არქეოლოგიური ხილული ძეგლი/ობიექტი არ დასტურდება. გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, ტერიტორიის ოთხ ადგილას გამოვლინდა ქვების კონცენტრაცია, რაც შესაძლოა არქეოლოგიური ობიექტების არსებობაზე მიუთითებდეს. დოკუმენტაციაში აღნიშნულია, რომ მშენებლობის ეტაპზე არქეოლოგიური ძეგლების არსებობის შემთხვევაში, შეჩერდება სამუშაოები და ეცნობება შესაბამის უწყებას. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს N17/202 (20.01.2023) წერილის თანახმად, ნაგავსაყრელი პოლიგონისთვის შერჩეული საკადასტრო მიწის ნაკვეთებზე (N84.10.38.000.046 და 84.10.38.000.017) არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლი და ისინი არ ექცევა რომელიმე ძეგლის ინდივიდუალურ დამცავ ზონაში. ამასთანავე, როგორც გზმ-ის ანგარიშშია აღნიშნული, ტერიტორიაზე ზედაპირული

არქეოლოგიური დაზვერვის შედეგად, არქეოლოგიური ობიექტის არსებობა არ დადასტურდა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მიწის სამუშაოები ჩატარდება მძიმე ტექნიკის საშუალებით (ბულდოზერი, ექსკავატორი და ა.შ.). გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ნარჩენების განთავსების ობიექტის უჯრედების მოსაწყობად საჭიროა დაახლოებით 3 მ სიღრმის თხრილების გაჭრა. მშენებლობის ორივე ფაზაზე, ნარჩენების განთავსების ობიექტის ტერიტორიაზე, მოიხსნება 0,61 მ, ხოლო მისადგომი გზების ტერიტორიაზე მოიხსნება 0,30 მ სისქის ნაყოფიერი ფენა. პირველი ფაზის სამუშაოებისთვის (უჯრედები, დამხმარე ინფრასტრუქტურა) საჭიროა 11.04 ჰა ტერიტორიის ათვისება, ხოლო მეორე ფაზისთვის - 5.84 ჰა. ორივე ფაზაში გათვალისწინებულია ჯამში 113.522 მ³ ნაყოფიერი ფენის მოხსნა (ფაზა 1 (საპროექტო ტერიტორია) – 68.625 მ³; ფაზა 2 (საპროექტო ტერიტორია) – 36.685 მ³; მისასვლელი გზები - 9.212 მ³). გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, მშენებლობის ეტაპზე, უჯრედების მოსაწყობად ამოღებული ნიადაგი და გრუნტი დასაწყობდება ობიექტის ტერიტორიაზე და გამოყენებული იქნება დეგრადირებული ნიადაგის რეკულტივაციისათვის. კერძოდ, ბუნებრივი თიხოვანი მასალა გამოყენებული იქნება უჯრედების ყოველდღიური დაფარვის მიზნით, ხოლო ნიადაგის ზედა ფენა - საბოლოო გადახურვისთვის.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა (საველე პირობებში გაიბურდა 10 ჭაბურღილი და 19 შურფი). ჩატარებული კვლევების შედეგად ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები არ შეუქმნის საფრთხეს დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებას.

გზშ-ის ანგარიშს თან ერთვის ინფორმაცია ნარჩენების განთავსების ობიექტის (ნაგავსაყრელის) მოწყობისა და ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელი ზემოქმედებების შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ, გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, ობიექტის ოპერირების, მონიტორინგისა და კონტროლის გეგმა, დახურვისა და დახურვის შემდგომი მოვლის გეგმა, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, დასკვნები და რეკომენდაციები.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი გზშ-ის ანგარიშის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელება, მათ შორის ინფორმაცია განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ფეისბუქის გვერდზე და ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის ყველა გამომწერს ელ. ფოსტის მეშვეობით. ინფორმაცია ასევე განთავსდა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე და ვებგვერდზე, ასევე სოფ. წინწყაროში და შავსაყდარში ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში. გარდა ამისა, საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია ასევე გამოქვეყნდა გაზეთში. გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვები გაიმართა 2023 წლის 21 თებერვალს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფ. წინწყაროს სარიტუალო დარბაზში და სოფ. შავსაყდარის საჯარო სკოლის შენობაში. საჯარო განხილვებს ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის, შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ წარმომადგენლები, ადგილობრივი

მოსახლეობა და დაინტერესებული პირები. სოფ. წინწყაროს სარიტუალო დარბაზში გამართულ საჯარო განხილვაზე დამსწრე საზოგადოების მხრიდან დაისვა კითხვები ნარჩენების განთავსების ობიექტის ტერიტორიის შემოღობვის და ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვების შესახებ, რასთან დაკავშირებითაც შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ წარმომადგენლებმა განმარტეს, ტერიტორიის კაპიტალური ღობით შემოღობვის, ხოლო ნარჩენების განთავსების ობიექტის (ნაგავსაყრელის) 2024 წლის ბოლოსთვის ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ. კითხვები ეხებოდა ადგილობრივების დასაქმების საკითხსაც, რაზეც კომპანიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება გათვალისწინებული იქნება როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე. სოფ. შავსაყდარის საჯარო სკოლის შენობაში გამართული საჯარო განხილვაზე დამსწრე საზოგადოების კითხვები ეხებოდა ნაგავსაყრელიდან ნარჩენების სხვა ტერიტორიებზე გავრცელების საშიშროების, ობიექტის განსათავსებლად კონკრეტული ტერიტორიის შერჩევის საკითხებს, ასევე ნაგავსაყრელის მშენებლობით სოფელზე ნეგატიურ გავლენას. ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ საპროექტო ტერიტორია იქნება შემოღობილი, ასევე პერიმეტრი და გარე ტერიტორია იქნება დაცული, რათა არ მოხდეს გარე ტერიტორიების დაბინძურება. ხოლო ტერიტორიის შერჩევა მოხდა საპროექტო ტერიტორიების ალტერნატიული ვარიანტების დეტალური განხილვის შემდეგ, საიდანაც შერჩეულ იქნა საუკეთესო ალტერნატიული ტერიტორია. რაც შეეხება ნაგავსაყრელის მშენებლობით სოფელზე ნეგატიურ გავლენას, კომპანიის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სოფლიდან არ გამოჩნდება ნაგავსაყრელი. გარდა ამისა, ადგილობრივმა მოსახლემ ისაუბრა ნარჩენების განთავსების ობიექტისთვის გამოყოფილი ტერიტორიის ათვისების შემდგომ სამოვრებისთვის გამოყოფილი ტერიტორიების მნიშვნელოვან დანაკარგზე. კერძოდ, აღნიშნულ იქნა, რომ სოფელში მესაქონლეობით დაკავებული პირებისთვის სულ 40 ჰა ფართობის სამოვარი მიწა ხელმისაწვდომი, საიდანაც 20 ჰა მიწის ნაკვეთი ნაგავსაყრელის მოწყობა-ექსპლუატაციისთვის იქნება გამოყენებული, ხოლო დანარჩენი მიწები კერძო საკუთრებაშია. სამოვრების საკითხთან დაკავშირებით, კომპანიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თუ მართლა მოხდება სოფლის სამოვრების ნაგავსაყრელისთვის ათვისება, მოხდება სხვა ტერიტორიებით მათი კომპენსაცია. გარდა ამისა, შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ წარმომადგენელმა ადგილობრივ მოსახლეობას შესთავაზა შეიქმნას ე.წ. სამონიტორინგო ჯგუფი, რომლის ფარგლებშიც სოფლის რამდენიმე მოსახლე აქტიურად იქნება ჩართული პროექტის განხორციელების პროცესში. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, პროექტთან დაკავშირებით სააგენტოში წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

აღნიშნული გზშ-ის ანგარიში განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა დასკვნებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების, ასევე გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-12 მუხლის, ამავე კოდექსის I დანართის მე-17 პუნქტის და II დანართის მე-10 პუნქტის 10.2. ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ ქვემო ქართლის, ახალი არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის (ნაგავსაყრელის) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე;
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიამ“ საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტაციის, დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტაციის, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, მათ შორის გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების, შერბილების და თავიდან აცილების ქმედებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად;
4. შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიამ“ ნაგავსაყრელის მოწყობამდე უზრუნველყოს მონიტორინგის გეგმის ხელახალი შემუშავება და სააგენტოსთან შეთანხმება, სადაც ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროებზე მონიტორინგის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან ერთად, გათვალისწინებული იქნება ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების რაოდენობისა და ხმაურის განსაზღვრის ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხები ობიექტიდან 500 მ-იანი რადიუსის საზღვარზე (მონიტორინგის წერტილების კოორდინატების, სიხშირის და მონიტორინგის შედეგების სააგენტოში წარმოდგენის პერიოდულობის მითითებით). საქმიანობა განახორციელოს სააგენტოსთან შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;
5. შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიამ“ უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტით სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;
6. შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიამ“ ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების დაცვა უზრუნველყოს სააგენტოსთან შეთანხმებული „ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზ.დ.ჩ.) ნორმების“ შესაბამისად;
7. შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიამ“ მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს სააგენტოში განახლებული ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის გეგმის შესათანხმებლად წარმოდგენა, სადაც ასევე ასახული იქნება ცხოველთა, მათ შორის ფრინველთა ბუდეების/საბინადრო ადგილების საპროექტო ტერიტორიაზე არსებობაზე და მათზე ზემოქმედების დაკვირვების და სააგენტოსთან ანგარიშგების საკითხი. ამასთან დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების საჭიროების განსაზღვრის მიზნით, ამავე მონიტორინგის გეგმაში

აისახოს, ექსპლუატაციის ეტაპისთვის შემარბილებელი ღონისძიებების (განსაკუთრებით ფრინველთა დამაფრთხობლებზე) ეფექტურობაზე დაკვირვების საკითხი. მონიტორინგის შედეგად საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების გატარება;

8. შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ ნაგავსაყრელის მოწყობა, ოპერირება, დახურვა და დახურვის შემდგომი მოვლა უზრუნველყოს „ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 აგვისტოს N421 დადგენილების მოთხოვნებისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად, რითაც უზრუნველყოფილი იქნება ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვა;
9. შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ უზრუნველყოს ნაგავსაყრელის, მოწყობის, ექსპლუატაციის და დახურვის შემდგომი მოვლის პერიოდში რისკების პრევენცია და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;
10. შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ ნაგავსაყრელის დახურვის შემდგომ, არანაკლებ 20 წლის განმავლობაში უზრუნველყოს ნარჩენების განთავსების ობიექტის მოვლა და მონიტორინგი;
11. შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე ნარჩენების დამუშავების/სეპარირებული გადამუშავებადი ნარჩენების ობიექტის მოწყობის შემთხვევაში უზრუნველყოს დეტალური ინფორმაციის სააგენტოში განსახილველად წარმოდგენა;
12. შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს სამშენებლო ბანაკის დეტალური პროექტის შემუშავება და სააგენტოში shp ფაილებთან ერთად შესათანხმებლად წარმოდგენა;
13. შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ ნაგავსაყრელის თითოეული უჯრედის დახურვამდე უზრუნველყოს დახურვის გეგმის სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა. უჯრედის დახურვა განახორციელოს შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;
14. შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ უზრუნველყოს ნაგავსაყრელის ოპერირებასა და მომსახურებაში მონაწილე პერსონალისთვის პერიოდული ტრენინგების ჩატარება/ორგანიზება და წელიწადში ერთხელ შესაბამისი ინფორმაციის/დოკუმენტაციის სააგენტოში წარმოდგენა;
15. შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ ექსპლუატაციის დაწყებიდან ერთი წლის ვადაში უზრუნველყოს ობიექტის პერიმეტრზე გამწვანების ზოლის (სულ მცირე ორ ზოლად) მოწყობა და მისი მოვლა-პატრონობა ნაგავსაყრელის დახურვის შემდგომი მოვლის პერიოდის ჩათვლით;
16. შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ ექსპლუატაციისა და დახურვის შემდგომი მოვლის ეტაპზე უზრუნველყოს ნაგავსაყრელის ყველა სისტემისა და მოწყობილობის გამართული ფუნქციონირება. სისტემის ან მოწყობილობის გაუმართაობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს აღნიშნულის თაობაზე და უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;

17. შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ ნარჩენების ხრწნის შედეგად წარმოქმნილი სუნის გავრცელების შემთხვევაში, უზრუნველყოს ყველა დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების შემუშავება და სააგენტოსთან შეთანხმება;
18. შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ ნაგავსაყრელის ოპერირების ეტაპზე უზრუნველყოს გამონაჟონის (ჩამდინარე წყლების), აირების ემისიების, მიწისქვეშა წყლების მონიტორინგის, ასევე ნაგავსაყრელის სტრუქტურისა და შემადგენლობის მონიტორინგის შედეგების წელიწადში ერთხელ სააგენტოში განსახილველად წარმოდგენა. მონიტორინგის შედეგად საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს სათანადო შემარბილებელი ღონისძიებების გატარება;
19. შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ სამშენებლო სამუშაოების განხორციელება უზრუნველყოს „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად;
20. შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ ნარჩენების მართვა განახორციელოს „ნარჩენების მართვის კოდექსისა“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესაბამისად;
21. შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ უზრუნველყოს „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის N348 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება;
22. შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ ნაგავსაყრელის მოწყობა განახორციელოს ქვეყანაში მოქმედი სტანდარტების, სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით;
23. შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ ნაგავსაყრელის ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ნაგავსაყრელზე შემოსული და გასული ტრანსპორტის დეზინფექცია;
24. შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ სამშენებლო სამუშაოების დაწყების, დასრულებისა და ნაგავსაყრელის ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს;
25. შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
26. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიას“;
27. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

28. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
29. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

